ქ. დედოფლისწყარო 28.01.2011 წ.

ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავას ქ.№42
ტელ. 825625534
www.dedoplistskaro.ge.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი"-ს შექმნისა და წესდების" დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი „ჩ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „დედოფლისწყაროს სათნოების სახლი".
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „დედოფლისწყაროს სათნოების სახლი"-ს წესდება (თან ერთვის).
3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ უზრუნველყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის „დედოფლისწყაროს სათნოების სახლი"-ს დირექტორის დანიშვნა და იურიდიული პირის დადგენილი წესით რეგისტრაცია.
4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, კიკვიძის ქ. №2) ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს
სათნოების სახლის შექმნისა და წესდების“
დამტკიცების შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №2 განკარგულების

დანართი 1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ (შემდგომში ,,სათნოების სახლი“) წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის საფუძველზე შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. სათნოების სახლის დამფუძნებელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომლის მონაცემები მოცემულია მე-2 დანართში და წარმოადგენს წესდების განუყოფელ ნაწილს.
3. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
4. იურიდიული პირის სრული დასახელებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ .
5. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლს“ აქვს ბეჭედი, შტამპი, საბანკო ანგარიში და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. იგი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.
6. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“–ს იურიდიული მისამართია ქ. დედოფლისწყაროს კოსტავას ქ. № 44.
7. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 2. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“- ს სამართლებრივი საფუძვლები.

1. საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ეს წესდება და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.
2. საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ უფლებამოსილია გამოიყენოს და დადგენილი წესით განკარგოს მისთვის გადაცემული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში შემავალი ყველა სხვა საკითხი.

მუხლი 3. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ -ს მიზნები და ამოცანები.

1. უმწეოთა და უპოვართა უფასო კვება, რომელშიც ჩაირთვებიან ქ. დედოფლისწყაროს, სოფელ ჯაფარიძესა და სოფელ წითელწყაროში რეგისტრირებული (ფაქტიურად მცხოვრები) მოქალაქეები:

ა) მარტოხელა პენსიონერები, რომლებიც ცხოვრობენ მარტო და არ ჰყავთ საკვების მიმწოდებელი.

ბ) უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც არა აქვს საკვების შეძენის საშუალება.

2. მოხუცებულთა იმ კატეგორიისათვის, რომლებიც არიან მარტოხელანი და არა აქვთ ბინაზე გათბობის და ჰიგიენის ნორმების დაცვის საშუალება, დღის ცენტრის შექმნა.

მუხლი 4. ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს სათნოების სახლში“ ბენეფიციართა ჩარიცხვის წესი.

1. სათნოების სახლში ბენეფიციართა ჩარიცხვას ახდენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 5. ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ -ს უფლებამოსილება

სათნოების სახლი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია:

1. მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში;
2. დააწესოს კონტროლი სისტემაში განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე.
3. დაამყაროს ურთიერთობა სხვადასხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან.

მუხლი 6. ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს ვალდებულება

სათნოების სახლი ვალდებულია:

1. დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში აწარმოოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშგება, დროულად უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციის წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოში.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხი აგოს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.
3. გაუწიოს კოორდინირება ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ ხარჯვას.
4. გაუწიოს კონტროლი მართვაში გადაცემული ქონების დაცვასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას.
5. მიიღოს იურიდიული და ფიზიკური პირების წერილები, განცხადებები და განიხილოს ისინი საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადებში.
6. განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა ვალდებულებანი.

მუხლი 7. სათნოების სახლის საქმიანობის ორგანიზაცია და სტრუქტურა

1. სათნოების სახლის საქმიანობას წარმართავს, ორგანიზებას და კოორდინაციას უწევს სათნოების სახლის დირექტორი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავისი უფლებამოსილების ვადით. დირექტორის მონაცემები აისახება მე-3 დანართში, რომელიც წესდების განუყოფელი ნაწილია.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომა ან გათავისუფლება წარმოადგენს სათნოების სახლის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს.

3. სათნოების სახლის დირექტორი:

ა) წარმართავს სათნოების სახლის საქმიანობას და პასუხისმგებელია სათნოების სახლის წინაშე არსებული ამოცანების შესრულებაზე;

ბ) დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას თანამშრომელთა საქმიანობაზე;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დაქვემდებარებულ სფეროში დასაქმებულ თანამშრომლებს;

დ) ამტკიცებს სათნოების სახლის მუშაობის შინაგანაწესს.

4. სათნოების სახლის სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს სათნოების სახლის დირექტორი.

5. სათნოების სახლის დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი.

მუხლი 8. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ -ს სამეურნეო საქმიანობა, საკუთრება და შემოსავლები.

1. სათნოების სახლი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო და სამეურნეო საქმიანობა, საფინანსო აღრიცხვა-გაანგარიშება. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს სამეურნეო საქმიანობის შედეგები აისახება წლიურ ანგარიშში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

2. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ -ს დაფინანსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

ბ) შემოწირულობები;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები, კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს მიზნების და ფუნქციების განხორციელებას, სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს ქონებას შეადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

5. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე.

მუხლი 9. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას.

1. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლს“ შეუძლია მხოლოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 10. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს კონტროლი და ანგარიშგება.

1. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ თავისი უფლებამოსილების, ამოცანების გადაწყვეტასა და განხორციელებისათვის ანგარიშვალდებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.

2. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“ -ს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 11. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

1. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ა(ა)იპ ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს ლიკვიდაცია ხდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით ან რეგისტრაციის გაუქმებით.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს
სათნოების სახლის შექმნისა და წესდების“
დამტკიცების შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №2 განკარგულების

დანართი 2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- დედოფლისწყაროს

მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს

დამფუძნებელი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო _ შექმნილია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

მისამართი: 1600, ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი
მცხოვრები ქ. დედოფლისწყაროში, 9 ძმის მე-4 შეს. №1
პირადი № 14001000456, პირადობის მოწმობის №ბ 0564424

საკრებულოს საიდენტიფიკაციო კოდი: 228542413

ტელეფონი: 25625534

საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ბაღაშვილი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს
სათნოების სახლის შექმნისა და წესდების“
დამტკიცების შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №2 განკარგულების

დ ა ნ ა რ თ ი 3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის ,,დედოფლისწყაროს სათნოების სახლი“-ს

დირექტორი: ----------

სახელი, გვარი

დაბადების თარიღი: ----------

დაბადების ადგილი: ----------

საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ----------

პირადობის მოწმობის № ----------

პირადი № ----------

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი